საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების.)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

პარასკევი, 5 ნოემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 86 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 86

## ქემალის ლაშქრობის გამო

გაზეთების ცნობით ქემალის ჯარმა ყარსი აიღო, რაც საბაბი შეიქნა, რომ ადგილობრივ პრესას საშინელი განგაში აეტეხა. გუშინდელი ამბავი არ არის ქემალის ჯარების მოძრაობა სომხეთისაკენ და ასეთივე განგაშით შეხვდა ეს პრესა სარიყამიშის აღების ცნობას. მაშინ ეს განგაში მინელდა, რადგან დღიურ წესრიგში წამოიჭრა ეკონომიური კრახის საფრთხე, რომელმაც თავისკენ მიიზიდა მთელი საზოგადოების ყურადღება. საინტერესოა, რომ რამდენათაც უმწეოთ დგანან ამ კრახის წინაშე ჩვენი ქვეყნის გაბატონებული წრეები და მთელ თავის უილაჯობას ააშკარავებენ, იმდენათ წრეს გადასული თავმოწონებით აჩხარუნებენ იარაღს შინაური და გარეშე მტრის შესამუსრავათ. სწორეთ სულზე მოუსწროთ მათ ქემალის მიერ ყარსის აღების ამბავმა, რომელიც საუცხოვო საბაბია აქეთკენ მიაპყრონ იმ მშიერ-ტიტველი ხალხის ყურადღება, რომელიც პირდაპირ გაბაწრული დგას ეკონომიური კატასტროფის წინაშე.

მთელი პრესა და მის მიერ დამუშავებული საზოგადოებრივი აზრი ერთხმათ ამხედრებულია ქემალის წინააღმდეგ და იაფი დემაგოგიით ცდილობს მიაფუჩეჩოს საქმის ნამდვილი ვითარება. როგორ გვიხატავს ეს პრესა ქემალს და მთელ იმ მოძრაობას, რომელსაც იგი სათავეში უდგია? როგორც შავ ძალას, როგორც ბარბაროსს, რომელსაც აინტერესებს მხოლოთ დარბევა-აწიოკება, დანგრევა-განადგურება, ყაჩაღობა, სისხლის ღვარის დაყენება და საერთოთ ბრმა ფანატიზმთან შედუღებული საშინელი მხეცობა. მოდით და ნუ აკანკალდებით ასეთი საშინელების წინაშე! მოდით და ნუ ინატრებთ, რომ ქემალი და მისი ჯარი ერთ დღეს აღიგავოს დედამიწის პირისაგან!

მართლაც, მთელი პრესა იმ აზრს იცავს დაბეჯითებით, რომ ქემალი თავზე ხელაღებული ავანტიურისტია და ის რომ არ არსებობდეს, გაცილებით უკეთესი იქნებოდა არა მარტო ამიერკავკასიის ერებისთვის, არამედ თვით ოსმალეთისთვის. გამოდის, რომ სრულიათ ბუნებრივი, კანონიერი და თან სასურველიცაა ისეთი ოსმალეთის არსებობა, როგორიც ანტანტას ყავს გამომწყვდეული თავის ბასრ კლანჭებში. ოსმალეთი უნდა შეურიგდეს იმ წყობილების არსებობას, როდესაც მისი „კანონიერი“ მთავრობა ანტანტის ნოქრათ და ლაქიათ არის გადაქცეული და არხეინათ უყურებს, თუ როგორი შეუბრალებლობით ნთქავს მთელ მის სიმდიდრეს, მის ცოცხალ ძალებს, მთელ მის არსებობას ევროპის გაუმაძღარი იმპერიალიზმი.

დიახ, ბუკის და საყვირის მომართვა ადვილია, მაგრამ ერთი წამით მაინც გაიხსენონ ის ერთათ ერთი ჭეშმარიტი აზრი, რომ ქემალი და მისი ხელმძღვანებული მოძრაობა აუცილებელი შედეგია ანტანტის მსახრავი პოლიტიკისა, რომელმაც მთელ ოსმალეთში გამოიწვია საშინელი აღშფოთება და პროტესტი და შეუქმნა ნოყიერი ნიადაგი მძლავრ ნაციონალურ მოძრაობას. მთელი აზრი და შინაარსი ამ ნაციონალური მოძრაობისა იმაში მდგომარეობს, რომ ბრძოლით განთავისუფლოს ოსმალეთი ანტანტის ბრჭყალებისაგან და შექმნას პირობები მისი შემდეგი განვითარებისა.

აქვს თუ არა ოსმალეთს ამისი უფლება? რა თქმა უნდა, უდიდესი ცოდვები მიუძღვის ოსმალეთის მთავრობას ისტორიისა, მთელ რიგ ხალხებისა და თვით საკუთარი ხალხის წინაშე და შეიძლება ამით აიხსნება ის თავდავიწყებული გაბოროტება, რომლითაც მოცულია ოსმალეთის მეზობელ ხალხთა მთელი წრეები და რომელსაც სამართლიანათ მიაჩნია თვით ოსმალეთის ხალხს გადაახდევინოს მისი მთავრობის და გაბატონებული კლასების დამსახურებული სასჯელი. ეს არის მიზეზი, რომ ყალბზე შემდგარი ჩვენი პოლიტიკოსები და პუბლიცისტები ერთი სიტყვითაც არ აღნიშნავენ, რომ ოსმალეთის ნაციონალური მოძრაობა თავისთავათ დიდათ პროგრესიული მოვლენაა. პირიქით, მათი აზრით ეს მოძრაობა მარტოთ მარტო უარყოფით მხარეებს წარმოადგენს.

ჩვენ ვერ გავყვებით ამ გზას და ერთხელ კიდევ გავიმეორებთ ჩვენს გაზეთში უკვე საკმაო სიცხადით გამოთქმულ შეხედულებას ამ საგანზე. ქემალის მოძრაობა, რამდენათაც იგი ობიექტიურათ და სუბიექტიურათ მიმართულია ოსმალეთის განთავისუფლებისაკენ, დიდათ პროგრესიული მოვლენაა და მთელი ჩვენი სიმპატია მის მხარეზეა. ხალხის მტერია ის, ვინც ქემალის ამ მისწრაფებას შეებრძოლება და მის წინააღმდეგ ანტანტას დაეხმარება.

როგორც ყველაფერი, ეს მოძრაობაც დროსა და სივრცეში სწარმოებს და მას შეიძლება დაერთოს ბევრი უარყოფითი მხარეებიც მით უმეტეს, რომ იგი წარმოიშვა ათასწლობით დუხჭირი პირობებით შებოჭვილ არეში. მაგრამ, ასეთი ელემენტები ახლავს ყოველ დიდ ხალხურ მოძრაობას და მათთან ბრძოლაა საჭირო და არა მათი გამოისობით მთელი მოძრაობის უარყოფა.

თვით ფაქტი სომხეთისკენ გამოლაშქრებისა ერთ ასეთ უარყოფით მხარეთ დასახეს მთელი ამ მოძრაობის მოწინააღმდეგეებმა, რომლებიც ხედავდენ მასში სხვისი ქვეყნების დაპყრობის სურვილს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ არც ეს შეეფერება სინამდვილეს. ქემალს ოსმალეთის განთავისუფლება უნდა და ამისთვის კი ამ ქვეყნის გული—სტამბოლი უნდა გაიწმინდოს ანტანტის შემოსევისაგან. მაგრამ თუ ის იძულებულია დღეს იმოქმედოს ერევანის დაშნაკელთა მთავრობის წინააღმდეგ, ეს სწორედ იმიტომ, რომ უზრუნველყოს თავისი ზურგი დაშნაკელთა თავდასხმისაგან.

დაამტკიცონ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა, რომ ქემალი უზრუნველყოფილია დაშნაკელთა თავდასხმისაგან იმ დროს, როდესაც ის აწარმოებს ნამდვილ ომს ანტანტის წინააღმდეგ და მხოლოთ მაშინ იქნება ყველასათვის ცხადი ის აზრი, ვითომ ქემალი დაპყრობითი მიზნებით მიდიოდეს სომხეთისაკენ. ამის დამტკიცება რომ შეიძლებოდეს, მაშინ მართლა დასაგმობი იქნება ქემალის გალაშქრება სომხეთისაკენ.

მაგრამ ფაქტები სულ წინააღმდეგს ამტკიცებენ. ქემალი იბრძვის ანტანტის წინაღმდეგ,—ეს ფაქტია. მაგრამ ასეთივე ფაქტია, რომ ანტანტას ყავს სიამედო მოკავშირე ამიერ კავკასიაში და ეს მოკავშირეა დაშნაკელთა მთავრობა. ეს მთავრობა მაგარი ძაფებით არის გადაბმული რუსეთის კონტრევოლიუციასთან და ევროპის იმპერიალიზმთან. აღსანიშნავია, რომ ამ მთავრობამ სწორეთ მაშინ გააჩაღა ნადირობა თავის ქვეყნის კომუნისტებზე, როდესაც საბჭოთა რუსეთის გამარჯვება ანტანტაზე ამიერკავკასიაშიაც ყველასათვის დასანახი შეიქნა. ამით მან ლაქიური ერთგულებით დაანახვა ანტანტას, რომ ის არ ეპუებს მის კარზე მდგარ საბჭოთა ძლევამოსილ ჯარებს და რაც უნდა დაემართოს, არ გასწყვეტს კავშირს თავის ბატონთან. რა გასაკვირია, თუ ასეთი მეზობლის წინააღმდეგ ქემალი დროულათ იღებს ზომებს.

მოკლეთ რომ ვთქვათ, ქემალის ბრძოლა დაშნაკელთა მთავრობის წინააღმდეგ ეს იმავე დროს ანტანტის წინააღმდეგ ბრძოლაა და არ ისახავს მიზნათ არაფერს გარდა თავისი ზურგის გამაგრებისა.

მაგრამ ჩვენი ქვეყნის მესვეურნი იმ გუნებაზე არიან ახმაურებულნი ამ ამბების გამო, რომ ეტყობათ, მორიგ თავდასხმას აწყობენ მათგან არა-ერთხელ „განადგურებულ“ ბოლშევიზმის წინააღმდეგ. საბუთათ, რასაკვირველია, მათი ის უტიფარი განცხადებაა საკმაო, ვითომ ჩვენ მოვუძღვით ქემალის ჯარებს საქართველოს დასაპყრობათ. არა იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ჩვენზე მოქნეული ხმალი, არამედ მხოლოთ იმისთვის, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი შეცდომაში ვერ შეიყვანონ მისმა მესვეურებმა, ჩვენ ერთხელ კიდევ ვაცხადებთ: მთელი ჩვენი ძალღონით სასტიკათ შევებრძოლებით საქართველოს დაპყრობას გარეშე ძალის მიერ, იქნება ეს ქემალი, — როგორც ამას ამტკიცებენ ჩვენი ქვეყნის მესვეურნი, — თუ სხვა ვინმე. მაგრამ ამავე დროს ჩვენ არ ვიტყუებთ ჩვენს თავს და შესაძლებლათ მიგვაჩნია, რომ ანტანტა აქ შეეცდება სხვა მოკავშირეც იშოვოს ქემალის წინააღმდეგ. ჩვენ გაფაციცებით ვადევნებთ თვალყურს ამ შესაძლებლობის განხორციელებას და თუ ჩვენს უმისოთაც არ შეწყვეტილ დევნის ხელახლა გაგრძელებას დაუკავშირებენ ქემალის ლაშქრობას, ჩვენ ამ დევნას დაუკავშირებთ ანტანტის პოლიტიკის დროებით გამარჯვებას. და რა თქმა უნდა, სიმართლე ჩვენს მხარეს იქნება და საბოლოოთ კი სიმართლე გაიმარჯვებს.

## ინგლისის ამბები და „ერთობა“.

მაღაროს მუშების გაფიცვა ინგლისში და მის მიერ გამოწვეული მუშათა საერთო მოძრაობა შეიქნა მომენტის ერთ კვანძათ. თავის მნიშვნელობით ეს ამბები გამოდიან ერთი სახელმწიფოს (ინგლისი) საზღვრებიდან და ხდებიან საერთაშორისო ფაქტორათ.

ინგლისი ერთ იმ გამარჯვებულ ქვეყანათაგანია, რომლის მშრომელთა მასსებმა მწვავეთ იგრძნეს ეს „გამარჯვება“. ომის დროს მათ [illegible] ჩააჩიჩინებდენ, რომ გამარჯვება დასცემს საშიშ მტერს, გააფართოებს უმეტოქო წარმოებას, მუშა ხელს მისცემს მეტ სამუშევარს და სამუშევარი კი მეტ ქირას და კეთილდღეობას; ამას გარდა ქვეყანას ჩამოსცილდება მილიტარისტული მაჯლაჯუნა, რომელიც სულს უხუთავს მას თავის საშინელი შეიარაღებით და საფრთხეში აგდებს დიდ და მცირე ერების თავისუფლებას, მათ მშვიდობიან შრომასო. მათაც სისხლი დაღვარეს და „გამარჯვებულნი“ სახლში დაბრუნდენ. მარა შეპირებულ ბედნიერების მაგიერ შინ შიმშილი და სიცივე დახვდათ, დაპირებული თავისუფლების მაგიერ კი თავისუფლებისათვის მებრძოლ ერების (ირლანდია და სხ.) და კლასების რბევა-ჟლეტა. მუშათა ექსპლოტაცია კიდევ უფრო გადიდდა: შრომის ნაყოფის უმეტესობა მწარმოებელმა მიისაკუთრა, დარჩენილი ნაოფლარი ქირიდან ნაწილი სახელმწიფომ წააგლიჯა გადიდებული გადასახადების სახით, რომლებიც (გადასახადები) ომმა დაუტოვა მათ სამკვიდროთ, ნაწილი სპეკულიაციამ იჯიბა, თვითონ კი დარჩენ ასე პირში ჩალა გამოვლებული. მოთმინებას და ზომიერებას მიჩვეული ინგლისელი მუშა მოუთმენლობამ და გაბედულებამ მოიცვა და, აქტიურ ბრძოლაზე გადასული, ის თავზარს სცემს დღეს თავის ბატონებს.

როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება მასთან: ჩვენ სულითა და გულით ვეგებებით მის ბრძოლას, რადგან მასში ვხედავთ ჩვენ გამარჯვებას.

მარა ასე არ ფიქრობს გაზეთი „ერთობა“. მისი სიტყვით ეს ამბები „აყირავებენ“ მთელ თქვენ თვალსაზრისს და პოლიტიკას. ეს იმიტომო, ამბობს გაზეთი, რომ „ამ პოლიტიკის თავი და ბოლო უმცირესობის დიქტატურაშია“-ო.

რომ პროლეტარიატის დიქტატურა ერთი უმთავრეს საფუძველთაგანია ჩვენი ტაქტიკის—ეს ასეა, მარა როდის იყო, რომ მენშევიკების მიერ ათვალისწინებული „თვალსაზრისი“ გულისხმობდა მაინცა და მაინც უმცირესობის დიქტატურას? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებათ, „ერთობისაგან“ ჩვენ მოვითხოვთ უფრო მეტს, ვინემ უბრალო მითითებას მის მიერ ათვალისწუნებულ რუსეთის პრაქტიკაზე, კიდევაც რომ ნათელ ჰყოს მან, რომ რუსეთის საბჭოები და საბჭოთა სისტემა გულისხმობენ პროლეტარიატის უმცირესობას, რაც მენშევიკებს სრულიათ არ დაუმტკიცებიათ, მიუხედავათ სისტემატიური კამპანიისა ამ სისტემის წინააღმდეგ.

მე მგონია, რომ „ერთობის“ მთელი მსჯელობა უმცირესობის დიქტატურის და ჩვენი „უბირბულობის“ შესახებ ასე ვსთქვათ, სიტყვის მასალაა, მოგროვილი სხვა გარემოების მისაფუჩეჩებლად: გაზეთი გამოღმა გვედავება, რომ გაღმა თავის გაცრუებული პროგნოზი საშკაროდან მოიტაცოს და სადმე გადამალოს.

ჩვენი შეხედულებით კაპიტალიზმმა ამოსწურა თავის სასიცოცხლო ძალები. მისი არსებობა შეიქნა კაცობრიობისათვის მთელ უბედურობათ და უქადის მას განადგურებას. ფორმალურად დათავებული წარსული მსოფლიო ომი ერთ უდიდეს მოვლენათაგანია ამ განადგურების გზაზე, ამავე ომმა შექმნა პირობები საშინელი სოციალ-პოლიტიკური კრიზისის, რომელიც აჩქარებს ძველის დანგრევას სხვა და სხვა ისტორიულ გარემოებათა გამო. ეს ნგრევა ამ ჟამათ დაიწყო შედარებით ჩამორჩენილ რუსეთიდან, მარა საბოლოოთ სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ იმ დროდან, როდესაც პროლეტარიატი დაიპყრობს ძალა-უფლებას მოწინავე ქვეყნებში. ამიტომ მთელი ჩვენი ძალით და ღონით ხელი უნდა შევუწყოთ პროლეტარულ რევოლიუციას იქ. რასაკვირველია, სოციალისტური წრე, რომელშიაც იწარმოებს ეს რევოლიუცია დაწინაურებულ ქვეყნებში, გავლენას იქონიებს მის მსვლელობის ტემპზე, თავის დაღს დაასვამს მის აღმშენებლობით მუშაობას. მარა არსებითად როგორც ერთ ისე მეორე შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს მოვლენათა ერთ ციკლთან, რომელიც დაიწყო რუსეთიდან, გრძელდება იტალიით, ინგლისით და თავის წრეში ჩაითრევს მთელ ქვეყნიერებას.

მენშევიკები თავიდანვე ეჭვის თვალით უცქეროდენ ასეთ ერეტიკულ აზრებს. მათი აზრით თუ ობიექტიური პირობები სოციალიზმისა მომწიფებული არიან, იგივე არ ითქმის მის სუბიექტიურ ფაქტორებზე. ამ ფორმულაში მათ სცადეს, ცხოვრებისა და ჩვენი ულმობელი კრიტიკის გავლენით, რამდენიმე ცვლილება შეეტანათ, მარა არსებითად დღესაც ისინი იმ აზრს ატარებენ, რომ სოციალიზმი არ შეიძლება აშენდეს ომის მიერ დანგრეულ საწარმოვო ძალების ნიადაგზე და რომ ჩვენ წინ გვიდევს ბურჟუაზიული ეკონომიკის ერთი ხანა კიდევ გასავლელი. მოკლეთ, ერთ გარკვეულ თვალსაზრისს ამის შესახებ ჩვენ „სოციალისტურ“ მოწინააღმდეგეებში ვერ შეხვდებით, ხოლო პრაქტიკული პროგრამა კი მათი ერთიანათ უარყოფაა იმ სოციალისტური აზრის მკრთალი კიაფისაც, რომელიც გაანათებს ხოლმე მათ ისეთი დიდი ფაქტების გავლენით, როგორიც არიან ინგლისის ამბები.

დღეს ძნელი სათქმელია კიდევ, რა მიმართულებას მიიღებს დიდი ბრიტანეთის მაღაროს მუშების გაფიცვა. ის გარემოება, რომ რევოლიუციის ძალებს იქ საქმე აქვთ გამოქნილ, გამოცდილ მოწინაღმდეგეებთან, როგორც აშკარა ბურჟუაზიულ, ისე სოციალ-მოღალატეთა წრეებიდან, ერთნაირ სიფრთხილეს გვავალებს რაიმე „წინასწარმეტყველებაში“. ერთი კი აშკარაა, რომ ინგლისის ამბები—ეს, ასე ვთქვათ, ჩვენი ამბებია, და „ერთობის“ წილადობილა ამის წინააღმდეგ ვერასფერს გააწყობს.

ქ. კრედო.

## ჩვენი პარტია.

### ძირითადი მიზეზი ჩვენი შეფერხება-დასუსტებისა

სიმართლე-სინამდვილე, უწინარეს ყოვლისა, რა გინდ მწარე იყოს იგი!

ჩვენი პარტია საერთაშორისო, პროლეტარული პარტიაა. ის მთავარ ცნებათ სამრეწველო პროლეტარიატის დიქტატურას აღიარებს, ხოლო ეს დიქტატურა სავსებით და სრულათ განხორციელდება იქ, სადაც სხვა რევოლიუციურ-ობიექტიურ პირობებთან ერთად სამრეწველო პროლეტარიატი მრავალრიცხოვანი და ძლიერია. იმ ქვეყნებში კი, სადაც რევოლიუციურ პირობებთან ერთათ ასეთი პროლეტარიატი მცირეა და სუსტი ან სულ არ არის, დიქტატურა შეიძლება მხოლოთ რამდენიმეთ განხორციელდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთ ქვეყნებში პროლეტარიატის დიქტატურა შეზღუდულ იქნება უმრავლესობის ნება-სურვილით; ასე რომ დიქტატურა ისეთ სახეს და ფორმას ღებულობს, როგორი სახისაც და კლასობრივი შემადგენლობის არის ხალხის უმრავლესობა. ამნაირათ სამრეწველო პროლეტარიატის დიქტატურა უმრავლესობის დიქტატურა ხდება. მაგრამ ამ დიქტატურის განხორციელების დონეს სიმაღლე იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენათ კულტურულია მცხოვრებთა მშრომელი მასსა და რამდენათ მომწიფებულია ეს მასსა სუბიექტიურათ, რომ პროლეტარიატის დიქტატურა გაატაროს.

1918 წელს, ერთ თავის მოხსენებაში ლენინმა გარკვევით და ნათლათ გვამცნო პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების სხვადასხვაობა. მან სთქვა: „დღევანდელ გარდამავალ ხანაში მსოფლიო სოციალისტური რევოლიუცია ჰქმნის პროლეტარიატის დიქტატურის სხვა და სხვა ფორმას. იქ, სადაც მსხვილი საკუთრება, მსხვილი კულტურაა გავრცელებული, მსხვილს, სრულ ფორმას, ღებულობს, ხოლო სადაც წვრილია იქ კიდევ—სხვა გვარს. რუსეთში ერთნაირ ფორმას ღებულობს, ხოლო ესტონეთში, მაგალითათ, სხვა სახეს მიიღებსო.

გავსინჯოთ ახლა ამ საზომით საქართველოს ხალხის ვითარება. აქ ჩვენ აშკარათ დავინახავთ ერთ ფაქტს, რომლის უარყოფა არასგზით არ შეიძლება. სახელდობრ იმას, რომ საქართველოს არა ჰყავს განვითარებული, ძლიერი, მრავალრიცხოვანი სამრეწველო პროლეტარიატი. აქედან უნდა ვიფიქროთ, რომ პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელება შეუძლებელია.

მაგრამ, თუ ღრმათ ჩაუკვირდებით ჩვენი ხალხის ვითარება—სულის კვეთებას და ზემოთ აღნიშნულ თვალსაზრისს მოვიმარჯვებთ, დავრწმუნდებით, რომ იგი, საქართველოს მშრომელი მასსა (რმელიც მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას შეადგენს) ისტორიულათ და კულტურულათ, აგრეთვე მსოფლიო ომისა და რევოლიუციის ზე-გავლენით უკვე საკმაოთ მომწიფებულია იმისთვის, რომ მან შესძლოს თავისი მომავლის ინტერესების თანახმათ დადგეს პროლეტარიატის თვალსაზრისზე და პროლეტარული დიქტატურა განახორციელოს. ამას გვიმტკიცებს ჩვენ მრავალი ფაქტი, რომლებსაც ადგილი ჰქონდა და აქვს მთელი რუსეთის და ამიერ-კავკასიის სივრცეზე. ყველგან და ყოველთვის ამ რევოლიუციურ ხანაში ქართველი ელემენტი მოწინავე რიგში დგას, ის ადვილათ ითვისებს პროლეტარულ თვალსაზრისს, როცა პროლეტარულ წრეში ვარდება და ამ წრეში ყოველთვის ინიციატივას იჩენს. მეორე, არ შეიძლება აქ არ მოვიხსენიოთ ქართველი ხალხის ინტერნაციონალური მიდრეკილება, უცხო ერების შეთვისება-შეგუების ხასიათი, რაც მისი განსაკუთრებულ ისტორიული ბედით აიხსნება. ყოველივე ეს ჰქმნის მასში საუკეთესო ნიადაგს პროლეტარული თვალსაზრისის და იდეალის შესაცნობ-შესათვისებლათ.

ერთი სიტყვით საერთოთ რომ ვსთქვათ, მართალია საქართველოს არ ჰყავს საკუთარი, შინაური მომწიფებული პროლეტარიატი პროლეტარული დიქტატურის გასატარებლათ, მარა მას შესწევს ძალა, რომ ეს დიქტატურა მან მეზობელი ქვეყნის და საერთაშორისო განვითარებულ-რევოლიუციური პროლეტარიატის დახმარებით სავსებით განახორციელოს ცხოვრებაში.

ქართველი ხალხის მხოლოთ ასეთი თავისებურ-განსაკუთრებული მდგომარეობა-ვითარებით აიხსნება ის ერთი შეხედვით საოცარი მოვლენა, რომ მან მიიქცია მთელი ყურადღება ამ საბედისწერო მომენტში სოციალიზმის ისეთი თეორეტიკოსების, როგორებიც არიან: კარლ კაუცკი, ვანდერველდე, გილფერდინგი და სხვები. არა თუ მარტო ყურადღება მიიქცია, არამედ მან შესძლო იმედი დაუბადოს ამ იდეალურათ მომაკვდავ მეცნიერებს, რომ მათი აზრი და რწმენა იცოცხლებს და გახორციელდება. კარლ კაუცკი დღეს ქართველთა შორის ტრიალებს და მათი იმედით იმხნევებს სასიკვდილოთ დაკოდილ გულს!

„მე ვამაყობ მით, რომ საქართველოს სახალხო გვარდიის წევრი გავხდით“, წარმოსთქვა მან რიხით სახალხო გვარდიის უკანასკნელ ყრილობაზე. ამას აცხადებს საქვეყნოთ და მოურიდებლათ მეორე ინტერნაციონალის საქვეყნოთ ცნობილი, უდიდესი ავტორიტეტით აღჭურვილი მისი ლიდერი, კარლ კაუცკი!

—„წყალ წაღებული ხავს ეკიდება“! შეგვიძლია ამაზე თამამათ ვთქვათ ჩვენ, მარა თვით ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ გაკოტრებულ მენშევიზმს მთელ ქვეყანაზე უკეთესი სავანე და საუკუნო განსასვენებელი ვერსად უპოვია გარეშე ჩვენი ქვეყნისა. ყველა ხალხთა შორის ამ მოჩაკვდავ მენშევიზმის მსოფლიო წარმომადგენელთ უპირველესათ ქართველი ხალხი უღვივებს იმედს „სოციალიზმის განახორციელებლათ“.

ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი რწმენით დიდი ილიუზიაა, მარა ყოველივე ეს, ცხადია, რომ ვითომდა უკეთესი გზით სოციალიზმის განხორციელების სურვილით ხდება, თუმცა ისინი ამ სოციალიზმის უნებური, მარა ნამდვილი მოღალატეები გამხდარან.

როგორც ხედავთ ქართველი ხალხი ერთი მხრით რომ სოციალიზმის განხორციელების იმედის აღმძვრელია, მეორე მხრით იგი მენშევიზმის საუკეთესო პოხიერ ნიადაგს წარმოადგენს. აი მისი ეს ორბუნებოვანება გამომდინარეობს მისი ზემოთ დასახელებულ განსაკუთრებულ—თავისებურ ვითარება-მდგომარეობიდან.

აქედან საქართველო და ქართველი ხალხი სოციალიზმის განხორციელების ორ მეთოდ-მენშევიზმსა და ბალშევიზმს—შორის ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპარეზათ გადაიქცა.

და ეს გარემოება კიდევ ზედმეტ საბაბს და საბუთს აძლევს ჩვენს პარტიას, რომ მაინც ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ქვეყნიერების ამ პუნქტს და ქართველი ხალხი საკაცობრიო იდეალების განსახიერების დიადი საქმის მონაწილე გახადოს: ერთი დიდი ბრძოლა აი ამ ასპარეზზედაც გაუმართოს მსოფლიო რეაქციას.

ამ ბრძოლამ ჩვენში უკვე რამდენიმე ეტაპი განვლო და ვინც ჩვენი სოციალ-დემოკრატიის და კომუნისტური პარტიის ისტორიას იცნობს, მან კარგათ უნდა იცოდეს, რომ ჩვენი ხალხის რევოლიუციურ ასპარეზზე გამოსვლა ბალშევიკური ჯგუფის ხელმძღვანელობით დაიწყო (მოიგონეთ „კავკასიის კავშირი“), თუმცა დღეს ჩვენში მენშევიზმი მეფობს.

ამ უკანასკნელის ჩვენში გამეფების მიზეზი ჩემი აზრით ორი გარემოებაა: ერთი ის, რომ ჩვენს ხალხში წვრილ-ბურჟუაზიული სულისკვეთებაა გაბატონებული, ვინაიდან მისი ეკონომიური მდგომარეობაც წვრილ-ბურჟუაზიულია. მეორე ის, რომ ჩვენი ხალხი მთელი საუკუნის განმავლობაში ჩაგვრა-შევიწროვებას განიცდიდა უცხო ერის, რუსული ცარიზმის მხრით, რუსეთის ბიუროკრატიზმის უღელ-ქვეშ.

აი ამ ორმა გარემოებამ შექმნა ჩვენს ხალხში ისეთი სულიერი განწყობილება, რომ ის ადვილათ დაემორჩილა მენშევიკების მიერ გაჩაღებულ პროპაგანდა-აგიტაციას, როგორც ბურჟუაზიულ იდეოლოგიის ანარეკლს!

ამიტომ იყო, რომ საქართველოში რევოლიუციური მარქსისტები თავიდანვე სუსტ გავლენას ახდენდენ ქართველ ხალხზე; ამიტომ იყო, რომ 1905 წელში ჩვენს ნიადაგზე გადმონერგილი ბალშევიზმი მალე მისუსტდა და რეაქციის ხანაში თითქმის სულ გაქრა. ხოლო შემდეგ, როცა რუსეთში დიდმა სოციალისტურმა რევოლიუციამ იფეთქა და გაიმარჯვა კიდეც, ბალშევიზმს შეეძლო გაღვივება-გაძლიერება საქართველოში მხოლოთ იმ პირობით, თუ რომ ჩვენი ქვეყანა რუსეთს არ ჩამოშორდებოდა და ჩვენი ხალხი რუსეთის სამრეწველო პროლეტარიატთან მჭიდროთ დაკავშირებული დარჩებოდა. მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ხალხის კულტუროსნობა, მის მიერ გავლილი რევოლიუციური ბრძოლის ტრადიცია და რუსეთის პროლეტარიატის ძლევა-მოსილება შესძლებდა ჩვენი ხალხის წვრილბურჟუაზიულ მიდრეკილებათა დაძლევას და პროლეტარიატის დიქტატურას ჩვენშიაც გაატარებდა. მაშინ ჩვენი პარტია, ცხადია, როგორც ამ დიქტატურის გამტარებელი „ნამდვილი ნასსიური პოლიტიკური პარტია“ იქნებოდა.

მაგრამ, როგორც ვიცით, ეს არ მოხდა: ჩვენში მენშევიზმმა დაისადგურა და საქართველოს ხალხი რუსეთის პროლეტარიატს ჩამოაშორა. აი ის უდიდესი, უძლიერესი და მთავარი მიზეზი და თან გადამჭრელი ისტორიული მოვლენა, რამაც ჩვენი კომუნისტური პარტიის ბედი გადაჭრა საქართველოს ნიადაგზე.

რ. ქ.

„პატრიოტიზმი მხოლოდ მაშინ არის შესაძლო, როცა ერთი მხრივ, კლასთა ბრძოლა ჯერ საკმაოთ არ განვითარებულა, მეორე მხრივ, როცა დაჩაგრული კლასები ორი სხვა და სხვა „სამშობლოსი“ თავის მდგომარეობით ერთმანეთს ჯერ აშკარათ და თვალსაჩინოთ არ დამსგავსებიან. იქ, სადაც კლასთა ბრძოლა მწვავე და გაალმასებულ რევოლიუციონურ ხასიათს იღებს და წარსულისაგან ნაანდერძევ აზრებს ნიადაგს აცლის; სადაც დაჩაგრულ კლასს აღარ უჭირს იმის მიხვედრა, რომ მისი ინტერესები სხვა ქვეყნის მშრომელთა ინტერესებისაგან არ განირჩევიან და მის სამშობლო ქვეყნის გაბატონებულ კლასთა ინტერესებს კი სასტიკათ ეწინააღმდეგება, იქ სამშობლოს იდეა თავის მომხიბვლელ მიმზიდველობას ჰკარგავს. ამ გარემოებამ ჯერ ძველ საბერძნეთშივე იჩინა თავი; მოქალაქეთა დაბალი კლასები უცხო ქვეყნების დაბალი კლასებისადმი მეტს ერთობას და სოლიდარობას გრძნობენ, ვიდრე თავის საკუთარ სახელმწიფო ქალაქის მაღალ კლასებისადმი“.

გ. პლეხანოვი. „პატრიოტიზმი და სოციალიზმი„. (გვ. 10 11).

# ბიულეტენი პრესბიუროსი

## რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

(რადიოთი მოსკოვიდან, ნაუენიდან, ლიონიდან და სხვ. და პირდაპირი მავთულით კავკავიდან და ბაქოდან).

## საზღვარ-გარეთ

**საფრანგეთის გაზეთები ვრანგელის შესახებ.**

**მოსკოვი**, 27 ოქტ. „ჟურნალი დედება“ სწერს: „ვრანგელს შეეძლო დარწმუნებულიყო დენიკინის დამარცხების მაგალითიდან, რომ ბალშევიკების მოწინააღმდეგე ჯარების წინსვლა ჯერ კიდევ არ არის გამარჯვების გარანტია“.

**„ინტერნაციონალი“ ოსმალურ ენაზე.**

**ტრაპიზონი**, 26 ოქტ. გაზ. „ენიგიუნში“ მოთავსებულია ლექსათ „ინტერნაციონალის“ თარგმანი.

**მცხოვრებთა რიცხვის შემცირება სტამბოლში**

**ტრაპიზონი**, 26 ოქტ. სტამბოლში მცხოვრებთა რიცხვი შესამჩნევათ კლებულობს. გაზ. „იკდამი“ აქვეყნებს სტატისტიკას დაბადების, სიკვდილიანობის და ქორწინების შემთხვევების შესახებ. სტამბოლში, სკუტარიაში და პერაში მაისის, ივნისის და ივლისის განმავლობაში. ამ სტატისტიკურ ცნობებიდან სჩანს, რომ სიკვდილიანობის შემთხვევა უფრო მეტია, ვიდრე დაბადების და ქორწინების შემთხვევების რიცხვი კი სულ დაეცა.

**ფრანგები კილიკიაში.**

**ბათუმი**, 1 ნოემბერი. გაზ. „ნეა ელასი“ სწერს: ინგლისის გაზეთების სტამბულელი კორესპოდენტები არა ადამიანურ საქციელათ სთვლიან საფრანგეთის მთავრობის მოქმედებას კილიკიაში. ფრანგები დახმარებას შეპირდენ და ააჯანყეს ოსმალების წინააღმდეგ სომხები. ამის შემდეგ ფრანგებმა უკან დაიხიეს და ამგვარათ ქემალელების განკარგულებაში დასტოვეს ამ ქვეყნელების სომხის მცხოვრებლები. არავის ვინც, კი იცის ამ ქვეყნის ნამდვილი ვითარება და მოწინააღმდეგეთა ძალების უთანასწორობა, არ შეუძლია არ გაამართლოს ფრანგების მოქმედების ის დახასიათება (არა ადამიანური) როგორაც ისინი (ფრაგები) დაახასიათეს ინგლისელმა კორესპოდენტებმა.

**იტალიელი სოციალისტები იმარჯვებენ.**

**მოსკოვი**, 3 ნოემბერი. მუნიციპალიტეტების (ქალაქის საბჭოები) ახალი არჩევნების შედეგი ისეთია, რომ 3 ათა სამდის იტალიის ქალაქში სოციალისტური მმართველობა იქნება.

**ვენიზელოსის განცხადება.**

**ლიონი**, 3 ნოემბერი. „ჟურნალი-დედება“ სწერს: ვენიზელოსი უპასუხებს გუნარისს მის კონსტანტინეს სასარგებლო კამპანიის შესახებ დ აცხადებს, რომ ხალხს უნდა ისეთი მეფე, რომლის უფლებებს ვერავინ შეეხებაო. ამიტომ ლიბერალური პარტიაც (ვენიზელოსელები ვ. ბ.) პრინც პავლეს შესახებ დასვამს კითხვას საზოგადოებრივი აზრის სამჯავროს წინაშე, რადგან რეაქციონერებს ეჭვი შესდით მასში, რომ საბერძნეთის ტახტი პავლეს ეკუთვნისო.

**თეთრ-გვარდიელების საქმიანობა.**

**მოსკოვი**, 3 ნოემბ. აქამდის პოლონური ბურჟუაზიული გაზეთებიც ვერ მალავენ იმას, რომ თეთრ-გვარდიელ ბალახოვიჩის და ესერ სავინკოვის ბანდები აწარმოებენ ებრაელების წინააღმდეგ გულ შემზარავ დარბევებს, საშინელი დარბევები მოხდა ზამოსტიეში, ხოლმის მიდამოებში უმთავრესათ კი კამენეც-კასირსკში.

**ნემეც შემთანხმებლებმა კავშირი შეკრეს თეთრგვარდიელებთან.**

**მოსკოვი**, 3 ნოებერი. გერმანიის მინისტრთა საბჭომ კავშირი შეკრა გერმანიის თეთრგვარდიელთა ფარულ ორგანიზაციასთან, რომ თავი დაიცვან გერმანელ მუშების გამოსვლისაგან.

**მსახიობების გაფიცვა.**

**მოსკოვი**, 27 ოქტ. ოქტომბრის თვის მეორე ნახევარში დიდი ოპერის მსახიობებმა პარიჟში გამოაცხადეს გაფიცვა. გაფიცვა გავრცელდა პადელურ სამუსიკო ორკესტრზედაც. ამის გარდა გაფიცულ მსახიობებმა თხოვნით მიმართეს მუშებს—არავითარი მუშაობა ოპერის შენობის შესაკეთებლათ არ ეწარმოებიათ, რომ ამით დირექციას საშუალება არ მისცემოდა გაფიცვის დროს შენობა არ შეეკეთებია.

**საკონსულო სასამართლო ოსმალეთში.**

**სტამბოლი**. 25 ოქტ. გაიხსნა საკონსულო სასამართლო. საქმის გარჩევა სასასამართლოში სწარმოებს რუსულ ენაზე, რუსულ კანონებით რუს ნაფიც-ვექილების მონაწილეობით. საქმის გარჩევის დროს ხელმძღვანელობენ ძველ სამოქალაქო კანონებით და უკვე გაუქმებულ წესდებებით. აგრეთვე ხელმძღვანელობენ უკვე გაუქმებულ და არ-არსებულ სენატით. კონსული ერთ და იმავე დროს მთავრობის წარმომადგენელიც არის, მსაჯულიც, მომრიგებელ შუამავალიც და გამომძიებელიც. საკონსულო სასამართლო ღებულობს თხოვნებს ინგლისელებისაგან, ფრანგებისაგან, ბერძნებისაგან და სხვებისაგან, მხოლოდ არ ოსმალეთის ქვეშევრდომთაგან. საკონსულო სასამართლოსთან დაარსდა ნაფიც-ვექილთა კოლლეგია.

**გენ. ზელიგოვსკის მიერ ვილნოს დაკავების გამო.**

**რიგა**, 25 ოქტ. პოლონელების მიერ ვილნოს დაკავების შესახებ ლიტვის დელეგაციის თავმჯდომარემ შემდეგი სთქვა: „რასაკვირველია, გენ. ზელიგოვსკის მიერ ვილნოს დაკავება მომზადებულია ზოგიერთ პოლონურ წრეების მიერ, რომელთაც სურთ დაანახვონ მოკავშირეებს, რომ ვილნო თითქო პოლონეთის ქალაქია. ვილნოს მცხოვრებთ მრავალ-რიცხოვანი პროკლამაციები დაურიგეს, რომლითაც მოუწოდებდენ მათ, რომ პოლონელ ჯარს კარგი განწყობილი, პურმარილით შეხვედროდენ, რის სამაგიეროთ ყველას შეჰპირდენ სრულ თავისუფლებას.

**გერმანული ნაღმოსნები პოლონეთისათვის.**

**პარიზი**, 25 ოქტომბერი. გერმანელებმა ვერსალის ზავის პირობების გამო ინგლისს გადასცეს რამოდენიმე სამხედრო გემი. პოლონეთის საკონსულოსთან მყოფ საზღვაო ატაშემ უკვე დაათვალიერა კონტრნაღმოსნები, რომლებიც პოლონეთს უნდა გადაეცეს.

**ხიძვირე საფრანგეთში.**

**პარიზი**, 35 ოქტომბერი. უკანასკნელ დროს ტრანსპორტის მოუწყობლობის გამო სურსათის ფასები ძლიერ გაიზარდა.

**საფრანგეთის სამხედრო ბიუჯეტი.**

**პარიზი**, 25 ოქტომბერი. 1921 წლის საფრანგეთის სამხედრო ბიუჯეტის ხარჯი ნავარაუდევია 6 მილიარდ, 680 მილიონ 200 ათასი ფრანკი. ამ ჯამში შედის ის ხარჯებიც, რომელიც გაღებულ იქნება სირიისათვის, პოლონეთისათვის და სამხრეთ რუსეთისათვის.

**საწარმოვო დაწესებულებების ზეგარის გადიდება.**

**ბათუმი**, 2 ნოემბერი. ყირიმის სახელმწიფო პალატამ გაადიდა გადასახადები ორასჯერ მეტათ ვიდრე ეს იყო ომამდის.

**კილენ-ბუხტის აფეთქების გამო.**

**ბათუმი**, 2 ნოემბერი. ყირიმიდან მოსულ ცნობების თანახმათ კილენ-ბუხტში ყუმბარების აფეთქებისა და ცეცხლის გაჩენის საქმის გამოძიება უკვე დამთავრდა და გადაეცა სამხედრო საზღვაო სასამართლოს. ბრალდებულის სკამზე ზის საწყობის ყოფილი გამგე პოდპოლკოვნიკი კაშრინიკოვი.

**სათფობ მასალის უქონლობა.**

**ბათუმი**, 2 ნოემბერი. ყირიმიდან იტყობინებიან, რომ სევასტოპოლში ოქტომბრის რიცხვებში მოხდა სანიტარულ აღმასრულებელ კომიტეტის კრება, რომელსაც დაესწრო საფრანგეთის წითელი ჯვრის სანიტარულ კომისიის მთავარი რწმუნებული ექიმი აიტოვი. სანიტარულ საკითხების გარდა ქალაქის თავი პერპელკინი შეეხო აგრეთვე სათფობ მასალის უქონლობის საკითხს და წინადადება შემოიტანა ექიმი აიტოვის საშუალებით ეთხოვოს საფრანგეთის მთავრობას, რათა სევასტოპოლის საჭიროებისათვის გამოგზავნოს ნახევარი მილიონი ფუთი ქვანახშირი, რადგან უამისოთ მდგომარეობა კატასტროფამდის მიდის. ექიმმა აიტომა აღნიშნა, რომ საფრანგეთშიც არ არის სათადარიგოთ შემონახული ნახშირი, მაგრამ შეპირდა კი იგი, რომ შუამდგომლობას აღძრავს საფრანგეთის მთავრობის წინაშე ყირიმის დახმარების შესახებ.

**ფინეთში**

**პარიზი**, 25 ოქტ. გაზ. „პოსლედნიე ნოვოსტის“ გელსინგფორსელი კორესპონდენტი შემდეგს იტყობინება: საზღვარგარეთ ყოველგან რუს მოქალაქეებს ძლიერ ცუდ პირობებში უხდებათ ცხოვრება. ისინი ისეთ მდგომარეობაში არიან, რომ მათ უფლებებს არავინ ანგარიშს არ უწევს, მაგრამ ამ მხრივ თავი ისახელა საფრანგეთმა. წითლების აჯანყების შემდეგ ფინეთში რუსი მოქალაქეები ერთ განსაკუთრებულ საცხოვრებელ ადგილას მიჯაჭვ.ქ. გადასვლ-გადმოსვლის უფლებები წართმეული აქვთ მხოლოთ იმ მოქალაქეთ, რომელთაც რუსული პასპორტი აქვთ. ის რუსი მოქალაქეები, რომლებიც რკინის გზით მიდიან სადმე, პოლიცია მათ რაღაც განსაკუთრებულ სიაში სწერს. თუ რომ რუს მოქალაქეს შეძლება მიეცემა გელსინგფორსში მისვლის, ის უნდა გამოცხადდეს განსაკუთრებულ რუსულ საპასპორტო განყოფილებაში, სადაც მას ყოველგვარ შეურაცყოფას აყენებენ. რუს მოქალაქეთა ერთ ადგილს მიჯაჭვა ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომ მათ არ შეუძლიათ რაიმე საქმე აკეთონ. მიუხედავათ ამისა ფინეთის მთავრობა არ აძლევს ნებას რუსებს რაიმე ვაჭრობა დაიწყონ. ამ პირობების გამო ფინეთში მყოფ რუს მოქალაქეთა უმრავლესობა სიმშილის მსხვერპლი ხდება. ფინები ყოველ დაბრკოლებებს ქმნიან არა მარტო იმ რუს მოქალაქეთათვის, რომლებსაც ფინეთში ცხოვრება სურთ, არამედ იმათთვისაც კი, როგორც ეს საკვირველი არ უნდა იყოს, რომელთაც სურთ დასტოვონ ამ „სტუმართმოყვარე“ ქვეყნის საზღვრები. რუსებს არ უშვებენ საზღვარ-გარეთ, თუ მათ თითოს ორი ფინელი მოქალაქე არ ეყოლება თავდებათ იმის შესახებ, რომ ყველა მისი (რუს მოქალაქის) ვალი, თუ ასეთი აქვს მას, გადახდილ იქნება. ასეთ მდგომარეობაში არიან რუსი ემიგრანტები ფინეთში“.

**ჟან-ჟორესის მკვლელი.**

**პარიზი**, 25 ოქტ. ჟორესის მკვლელი, რაულ ვილენი, რომელიც გაამართლა სასამართლომ, ეხლა გამასწორებულ პოლიციის სამსჯავროს წინაშე წარსდგა. მას აბრალებენ უკანონო გზით ოქროს და ვერცხლის ფულების ნიშნების გაყიდვას.

**სურსათის საკითხის შესახებ თათფირი.**

**პარიზი**, 25 ოქტ. ხელახლად შეიკრიბნენ მინისტრები სასურსათო კითხვის შესახებ სათათფიროთ. წარმოდგენილია მისაღებათ შემდეგი ზომები ხორცის მოხმარები, რიცხვის შესამოკლებლათ: აკრძალულია ორხელ დღეში ხორცეული კერძის ხმარება რესტორანებში, სრულიად აკრძალულია კვირაში ორხელ ან სამხელ, ანდა თვეში ერთი კვირის განმავლობაში ხორცეულობის ხმარება, შემოღებულ უნდა იქნას ხორცის მისაღები ბარათები კითხვა ჯერ საბოლოოთ არ გადაწყვეტილა. მეორე მხრივ უნდა იქნას ზომები მიღებული თევზის ჭერის და მისი მთელ საფრანგეთში გაყიდვის საქმის კარგათ დასაყენებლათ.

**საბჭოთა რუსეთის სასარგებლო მოძრაობა.**

**მოსკოვი**, 3 ნოემბერი. „მოქმედების საბჭოების“ ადგილობრივ სექციებმა მთელს ინგლისში მოაწყვეს მიტინგები, რომლებზედაც ირჩეოდა კითხვა საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ. მიტინგებზე მკაცრათ გაჰკიცხეს ინგლისის მთავრობის საგარეო პოლიტიკა და მოითხოვეს, რომ განახლებულ იქნას საბჭოთა რუსეთთან ეკონომიური და დიპლომატიური დამოკიდებულება.

**ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის სიეზდი.**

**მოსკოვი**, 3 ნოემბერი. გაიხსნა ჰო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლანდიის კომუნისტური პარტიის სიეზდი.

**ინგლისელი ჯარის კაცები უსაქმოთ დარჩენ.**

**მოსკოვი,** 4 ნოემბერი. ინგლისში სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ 150 ათასი ჯარის კაცი უსაქმოთ დარჩენ. ინგლისის მთავრობას განსაზღვრული ქონდა უსაქმოთ დარჩენილ ჯარის კაცები სახლების საალმშენებლო საქმეში გამოეყენებინა, მაგრამ პროფესსიონალური კავშირები ამის გამო პროტესტს აცხადებენ, რადგანაც მათაც არა აქვთ საკმაო სამუშაო.

**ლატვიის მთავრობის პასუხი.**

**მოსკოვი,** 4 ნოემ. ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მეეროვიჩმა აცნობა რიგაში საბჭოთა წარმომადგენელს განეცკის, რომ ლატვიის მთავრობამ სამსახურიდან დაითხოვა ის პირები, რომლებმაც ენერგიული ზომები არ მიიღეს ვრანგელის აგენტების ინტრიგების წინააღმდეგ. ლატვიის მთავრობა ირწმუნება, რომ ლატვიაში არავითარი საბჭოთა რუსეთის საწინააღმდეგო რაზმები არ დგებოდა.

**ამერიკა და რუმინია.**

**მოსკოვი,** 4 ნოემ. ამერიკის მთავრობა პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ ბესარაბია შეუერთდეს რუმინიას.

**შეერთებულ შტატების პრეზიდენტის არჩევა.**

**ლიონი,** 3 ნოემ. გაზ. „ტანი" სწერს, რომ მოსალოდნელია, პრეზიდენტათ აირჩევენ სენატორ გარდინგს. მოსულ ცნობების თანახმათ, ჯერ ჯერობით მიუღია მას 531 ხმიდან 343 ხმა.

**ვრანგელის გეგმები.**

**ლიონი,** 4 ნოემ. „ჟურნალი დე-დება" აქვეყნებს რუსეთის ყოფილ ფინანსთა მინისტრის, ბარკის განცხადებას ამის შესახებ, რომ ვრანგელს მისთვის განუცხადებია: რადგან პოლონეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის ზავი ჩამოვარდა, ამიტომ აუცილებელია, რომ მისი ჯარები ისევ ყირიმის გამაგრებულ ადგილებში დაბრუნდესო.

**ლოკაუტი ბერლინში.**

**ნაუენი,** 3 ნოემბ. რკინის და ფოლადის ჩამომხსმელ ბორზინგის ქარხანამ ბერლინში ლოკაუტი გამოუცხადა მთელ 5 ათას მუშას, რადგან 300 ელექტროტეხნიკ მუშების გაფიცვამ გამოიწვია ქარხანაში მუშაობის შეჩერება.

მდგომარეობა კიდევ უფრო მწვავდება იმითი, რომ საქარხნო კომიტეტი მოითხოვს საქონლის საზღვარგარეთ გატანის საქმეში ჩარევას, რის გამო საფრთხე მოელის მთელი ქარხნის საქმის წარმოებას.

**კომუნისტურ ინტერნაციონალის ახალი გამარჯვება.**

**მოსკოვი,** 4 ნოემბ. საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის კონგრესზე 376 ხმით—83 წინააღმდეგ გადაწყდა შეუერთდენ მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალს. შემთანხმებელ ბელადებმა—რენოდელი და კლიუმიმ, მიუხედავათ მათი წინააღმდეგობისა, განიცადეს სრული დამარცხება. საფრანგეთის ახალგაზრდების კონგრესმა დაადგინა აგრეთვე უეჭველად შეუერთდენ მე 3 კომუნისტურ ინტერნაციონალს.

**პოლონეთის მძიმე მდგომარეობა.**

**მოსკოვი,** 4 ნოემბ. პოლონეთის ფინანსთა მინისტრი გრამსკი გაემგზავრა საფრანგეთში სესხის ასაღებათ, მაგრამ სესხის აღება ვერ მოხერხდა. გრამსკი ფიქრობდა საფრანგეთისთვის მიეყიდა ის სათადარიგო შაქარი, რომელიც პოლონეთშია, აგრეთვე ფიქრობდა მიეყიდა 20 წლის განმავლობაში ნავთის ნივთიერებანი. საფრანგეთის მწარმოებლები მიუთითებენ იმაზე, რომ პოლონეთი არა რაციონალურ ფინანსიურ პოლიტიკას აწარმოებსო.

**სიძვირე პოლონეთში.**

**მოსკოვი,** 4 ნოემბერი. პოლონური გაზეთები პოლონეთში სიძვირის განვითარებას და ზრდას მითი ხსნიან, რომ პოლონელი გლეხები აგროვებენ სურსათს რუსეთში გასატანათო.

**გაფიცვები გერმანიაში.**

**მოსკოვი,** 4 ნოემბერი. ბერლინში იფეთქა სახლზე მომუშავეთა გაფიცვამ.

**კომუნისტურ პრუსიაში**

**ნაუენი,** 3 ნოემბერი. ბრანდებურგის პროვინციის პრეზიდენტმა დაამტკიცა საშკოლო მრჩევლის თანამდებობაზე კომუნისტი ექიმი გაისი ლევენშტეინი.

**ინგლისელები ფრანგების წინააღმდეგ.**

**ნაუენი,** 3 ნოემბ. გაზ. „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი" იტყობინება პარიზიდან, რომ მილიერანს განუცხადებია ევროპის ცნობილ გაზეთების კორესპონდენტებისთვის, რომ ბულონის თათბირზე ფრანგები ამბობდენ. რომ ის 200 მილიარდი მარკა რომელიც კონტრიბუციის სახით გერმანიამ უნდა გადიხადოს, არის კონტრიბუციის მინიმუმიო. ამავე დროს ინგლისელები დაჟინებით მოითგოვდენ მას, რომ ეს ციფრი ცნობილი ყოფილიყო კონტრიბუციის მაქსიმუმათ.

**გერმანია-პოლონეთის მოლაპარაკება.**

**ნაუენი,** 3 ნოემბ. მომავალ კვირაში ვარშავში განახლდება გერმანიასა და პოლონეთს შორის მოლაპარაკება დანციგის „კორიდორის" შესახებ.

**გერმანიის კომუნისტების გაერთიანება.**

**ნაუენი,** 3 ნოემბ. უკიდურეს დამოუკიდებელთა სიეზდისა და ბერლინში ეხლახან დაწყებულ კომუნისტების სიეზდის შორის სწარმოებს მოლაპარაკება ამ ორივე პარტიის გაერთიანების შესახებ. გაერთიანებულ პარტიის პირველი სიეზდი მოხდება 3 ნოემბერს. ახალი პარტიის წევრთა შემადგენლობის გამო დამოუკიდებელთა მემარჯვენე ფრთა მოსალოდნელია, რომ უარყოფს რეიხსტაგში დიტმანის ვიცეპრეზიდენტობას.

# საბჭოთა რუსეთში

**სამხრეთის ფრონტები და ჩვენი ამოცანები**

**მოსკოვი,** 3 ნოემ. „პრავდა" თავის მოწინავეში—„სამხრეთის ფრონტი და ჩვენი ამოცანები", სწერს:

„უკანასკნელ ხანებში მთელი ქვეყნის ბურჟუაზიული პრესა, რეაქციონურ მონარქიულიდან დაწყებული სოციალ-დემოკრატიულამდის (უფრო სოციალ-პროვოკატორული) ირწმუნებოდენ, რომ საბჭოთა მთავრობა მალე დამარცხდებაო. უდიდეს საბჭოთა მოღვაწეებს სამასხროთ ნეკროლოგებსაც კი უწერდენ. ყველა ამეებს ვარშავასთან ჩვენი მარცხის დროს ჰქონდა ადგილი. ბურჟუაზიამ და ყველა მისმა მიმდევრებმა მორთეს განგაში წითელი არმიის და წითვლი ზურგის დაშლაზე. მთელ იმედებს ამყარებდენ „განმათავისუფლებელ" ვრანგელზე, რომელიც ელანდებოდათ მოსკოვში მიმავალი საეკლესიო ზარების რეკვის ქვეშ.

სინამდვილემ მკაცრათ მოატყუილა თეთრგვარდიელები. რღვევა-არა წითელ არმიაში, არამედ თეთრ ყირიმში და ვრანგელის ჯარებში ვითარდება კატასტროფიულად. მოთარეშე, გაჩაღებული და ზნე-დაცემული აფიცრობა — შლის ვრანგელის ზურგს. მთელს ყირიმს გმირული წითელი არმია ფოლადის სალტეთ ერტყმება და სჟლეტს ყირიმის თეთრ გვარდიელებს. თითოეული კონტრრევოლიუციას უნდა მოუღოთ ბოლო და უნდა შეუდგეთ სამეურნეო აყვავებას ჩვენი გმირული, მაგრამ დაღარიბებული რესპუბლიკისას.

**სრულიად რუსეთის პროფესიონალური კავშირების მეხუთე კონფერენცია.**

**მოსკოვი,** 3 ნოემბერი. მოსკოვში გახსნილ პროფესსიონალურ კავშირების მეხუთე კონფერენციას მიესალმა ამხ. კალენინი, ზინოვიევი და ტომსკი. ტომსკიმ თავის სიტყვაში სთქვა, რომ პოლონეთთან ზავის შეკვრის და ვრანგელის ფრონტზე წითელ ჯარების შეტევის გამარჯვებით დამთავრების შემდეგ საბჭოთა რესპუბლიკის წინაშე ისმება მეურნეობის აყვავების აამოცანები.

**ბავშვთა კვირის შესახებ.**

**მოსკოვი,** 3 ნოემბ. განზრახულია ყველა მიტინგებზე და ყრილობებზე, რომელთაც მოაწყობენ ოქტომბრის რევოლიუციის სამი წლის თავის სადღესასწაულოთ, წარმოებულ იქნას გაძლიერებული აგიტაცია „ბავშვთა კვირის" სასარგებლოთ, რაც მოწყობილი იქნება 21-დან—28 ნოემბრამდის. „ბავშვთა კვირა" ეწყობა სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით. ამ დღისათვის განზრახულია სასურსათო საგნებისა და პირველ მოთხოვნილების საგნების დაგროვება, რაც მოხმარდება რესპუბლიკის დამშეულ ბავშვებს.

**ამერიკა და საბჭოთა რუსეთი.**

**მოსკოვი,** 4 ნოემბერი. შეერთებული შტატების მთავრობა იმუშავებს ამერიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის სავაჭრო დამოკიდებულების შესახებ პროექტს.

**ნოვოროსიისკში გემების შესვლის აკრძალვა.**

**მოსკოვი,** 4 ნოემბერი. რუსეთის მთავრობა ამით იუწყება, რომ ნოვოროსისკში და მის მახლობელ ზონებში გემების შესვლა აკრძალულია. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ის გემები, რომლითაც მოდიან რუსი სამხედრო ტყვეები. ასეთ გამებმა წინასწარ უნდა აცნობონ პორტს თავის მოსვლის სურვილის შესახებ და ნოვოროსისკიდან შორი მანძილზე გაჩერდენ და გადასცენ ტყვეები მათ შესახვედრათ გაგზავნილ გემებს.

# რევოლიუციის ფრონტებზე

**სამხედრო ოპერატიული 3 ნოემბრის ოპირატიული რადიო ცნობა რესპუბლიკის „რევოენსოვეტის" საველე შტაბისა, მოსკოვი 4 ნოემ.**

## ყირიმის ფრონტი

**ყირიმის მიმართულებით** ჩვენი ნაწილები ავიწროვებენ მოწინააღმდეგეს, რომელიც მკაცრი ბრძოლებით იხევენ კუნძულზე.

**სოციალისტების (კომუნისტების) განცხადება**

**ბათუმი,** 2 ნოემ. გაზეთი „ნეაელლს", რომელიც ათინაში გამოდის, შემდეგს იუწყება:

„ათინის პრესამ გამოაქვეყნა ცნობა, რომლის თანახმათ 59 პროფესიონალური კავშირების საბჭომ გადასწყვიტეს პარლამენტის არჩევნების დროს ბურჟუაზიული ოპოზიციონური პარტიებთან შეთანხმებით იმოქმედონ.

საბერძნეთის სოციალისტური პარტიის ბიურო აცხადებს, რომ ეს ცნობა სინამდვილეს არ შეეფერებაო. ასეთი გადაწყვეტილება არსად და არასდროს არ ყოფილა მიღებული იმ უბრალო მიზეზით, რომ ყველა მუშებმა გადაწყვიტეს იბრძოლონ სოციალისტურ მუშური პარტიის დროშის ქვეშ ყველა ბურჟუაზიული მთავრობის და ოპოზიციონური პარტიების წინააღმდეგ.

ამნაირათ, ბურჟუაზიული პარტიის ცდა, რომ შეუგნებელი მუშები თავის მხარეზე მოტყუილებით გადაიყვანოს— დამარცხებით თავდება. ასეთი უსუსური საშვალებებით ბურჟუაზიას არ ძალუძს დაშალოს და დაასუსტოს სოციალისტური მუშათა პარტიის ძალა და ავტორიტეტი"

**ბალახოვიჩის კოშმარული შემოსევა**

**მოსკოვი,** 3 ნოემ. ქალ. კამენ-კაშირსკის აღების დროს ბალახოვიჩის ჯარებმა საშინელი სისასტიკე გამოიჩინეს: გააუპატიურეს ქალები, ამოწყვიტეს უმწეო მცხოვრებლები—ბავშვები, მოხუცებულები. სამოცდა-ათ წლიან მოხუცს ჯერ ნავთი გადაასხეს და შემდეგ მოუკიდეს ცეცხლი. ერთ ბინაში თავი მოუყარეს 40-მდე ებრაელ ქალს, რომლებთანაც მთელ დღეს საშინელ სიმხეცეს ჩადიოდენ. ამგვარ ამბებს ადგილი ჰქონდა კრემენში (ვოლინის გუბ.).

**საბჭოთა ძლევამოსილება**

**მოსკოვი,** 3 ნოემ. „გუდოკი" სწარს: „საბჭოთა რუსეთის დამარცხების შეუძლებლობაში დასავლეთ ევროპის ჭკუა მოკლე ბურჟუებიც რწმუნდებიან. შეერთებული შტატების მინისტრმა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის პროექტი გამოიმუშავა. ინგლისი დღემდის კიდევ არ იწყებს ჩვენთან საქონლის გაცვლა-გამოცვლას. მაგრამ ინგლისში დაწყებული მეურნეობის დაცემა, უმუშევრობა აიძულებს ინგლისის მთავრობას დააჩქარონ ჩვენთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის დაწყება. იმ დროს, როდესაც საფრანგეთის მთავრობა ყოველ საშვალებას მიმართავს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, — საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობა და ახალგაზრდათა კავშირის ყრილობა მესამე ინტერნაციონალს უერთდებიან. დასავლეთ ევროპის მუშები, განიცდიან რა საშინელ ეკონომიურ გასაჭირს, სულ უფრო და უფრო ისწრაფიან საბჭოთა რუსეთისაკენ. პროფესიონალური კავშირების მრავალსობა მემამე ინტერნაციონალის მხარეზე დგას. საბჭოთა რუსეთის სიძლიერეს დასავლეთში არა მარტო მუშები გრძნობენ, არამედ კაპიტალისტებიც კი. რამდენათ უფრო მალე მოვსპობთ ჩვენს მტრებს, ვრანგელს და მის ამალას, მით უფრო მალე შეუდგებით მშვიდობიან საალმშენებლო მუშაობას. შინაურ და საგარეო პოლიტიკის საკითხებში გადამწყვეტ სიტყვას საბჭოების მერვე ყრილობა იტყვის. ვრანგელის განადგურება და ზურგში გაძლიერებული მუშაობა, აი საუკეთესო გამოხატულება საბჭოთა რუსეთის საძლიერისა.

**ვირთხები გემებიდან ზღვაში ცვივიან.**

**მოსკოვი,** 4 ნოემ. ყირიმში მონარქისტული მოძრაობა ძლიერდება. თითქმის თემებისა და ქალაქის თვითმმართველობების ზომიერი წევრები სტოვებენ თავის ადგილებს. ვრანგელის მთავრობის უბრალო კრიტიკისათვის ქალაქის თვითმმართველის წევრებს სასამართლოში აძლევენ.

**ქალაქის თავის კორკის შესახებ.**

**მოსკოვი,** 3 ნოემბ. ლორდმერის, კორკის სიკვდილმა ირლანდიის რევოლიუციონერებს შორის დიდი მღელვარება გამოიწვია. ყოველგან ხდება პოლიციელებთან შეტაკებები. ბელფასტში შეტაკების შემდეგ რამოდენიმე მოკლული და დაჭრილი აღმოჩნდა. დუბლინში ბარიკადები გააკეთეს, „დეილი გეროლდი" სწერს, რომ ქალ. ლორდმერმა, კორკმა, უკვდავება მოიპოვა, როდესაც მკვლები შურის ძიების მსხვერპლი ხდებიან. წერილი ბრიტენიის საზოგადოებას მოუწოდებს მოუღონ ბოლო მოძალადეების, გამცემლების და ბრიტანიის კონსტიტუციის დამრღვევის მთავრობას.

**ლიტველებმა პოლონეთის ჯარების წინსვლა შეაჩერეს.**

**მოსკოვი,** ლიტვიის ჯარებმა უკან დაიბრუნეს პოზელვუ და ვინძიშევი. გენ. ზელიგოვსკის ჯარები უკუქცეულია.

**სარატიფიკაციო დოკუმენტების გაცვლა.**

**მოსკოვი,** 4 ნოემბერი. ორ ნოემბერს, დილის 5 საათზე ლიბავაში საბჭოთა რუსეთის და პოლონეთის შორის დადებულ პრელიმინალური ზავის სარატიფიკაციო დოკუმენტების გაცვლა მოხდა.

**პოლონეთის უპირულობაზე.**

**მოსკოვი,** 3 ნოემბ. პოლონეთი მშვიდობიან დროს საზავო ხელშეკრულობის დარღვევით იწყებს. თანახმათ საზავო ხელშეკრულებისა სამხრეთ ნაწილში პოლონეთის ჯარს ახალ პოლონეთის საზღვრებზე უნდა დაეხია რატიფიკაციების გაცვლის შემდეგ, ე. ი. 2 ნოემბრის შემდეგ. მაგრამ პოლონელები ამ პირობის ასრულებაზე უარს აცხადებენ და თხოულობენ, რომ ხელახლათ ახალი საზღვარი იქნეს გაყვანილი. მხოლოდ ამის შემდეგ დაიხევს პოლონეთის ჯარები ახალ საზღვრებზე. ეს განზრახ პირისტეხაა. პოლონელებმა შეაიარაღეს თავის ტერიტორიაზე ბალახოვიჩი და ვოლინი პეტლიურას გადასცეს, რითაც აძლიერებენ რა თავის მორჩილ ოინბაზებს, ფაქტიურათ აგრძელებენ ჩვენს წინააღმდეგ ომს.

# ს. დ. ს. დეპეშები

**ახალგაზრდა თურქთა შეთქმულება.**

**ათინა.** ადრიანოპოლში ახალგაზრდა თურქთა შეთქმულება აღმოაჩინეს. შეთქმულთა შორის არის ადრიანოპოლის ქალაქის თავი. ელლინთა ჯარმა დიდძალი ხალხი დააპატიმრა. (ს. გ.)

**გაფიცვები პორტუგალში.**

**პარიზი.** „ტანს" მოყავს პორტუგალიის სამხედრო მინისტრის ცნობა სამხედრო ძალების მიერ რკინის გზების დაკავების შესახებ. საქონლისა და სამგზავრო მატარებლებს იცავს სამხედრო ძალა. ეს ზომა გაფიცვებით არის გამოწვეული. პორტუგალიის ზოგიერთ ადგილებში მუშებმა განაახლეს მუშაობა. მუშების დასამშვიდებლად ამნისტია გამოქვეყნდა (ს. გ.)

**გაფიცვა საერთო ხასიათს ღებულობს**

**ლისაბონი.** ბარცელონში გაფიცვა საერთო ხასიათს ღებულობს. შესაძლებელია ტრამვაის მოძრაობის შეჩერება. ვაჭრობა დაცემულია. ქუჩებში ტალახია. მთავრობამ კატეგორიული უარი სთქვა ბარცელონში საალყო წესების გამოცხადებაზე. ბარცელონში გაფიცულებს ასოთ ამწყობებიც შეუერთდა. გაზეთები არ გამოდის. (ს. გ.)

**წესიერებისათვის.**

**ლონდონი.** ლოიდ ჯორჯმა კარნარფორსში განაცხადა: ირლანდიაში რათაც არ უნდა დაჯდეს, წესიერება უნდა აღდგენილ იქნას. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მხარე ანარქიის ქარცეცხლში გაეხვევა. ინგლისის მთავრობა ამას მიახწევს რითაც ეს არ უნდა დაუჯდეს. ამასთანავე მთავრობამ ირლანდიის ავტონომიის გამოცხადება დაადგინა. საერთოთ ირლანდია დიდ ბრიტანეთს აიძულებს მოეპყროს მას განსაკუთრებული სიფრთხილით.

ხელში ჩაგვივარდა 1918 წლის საბუთები ირლანდიელთა აჯანყების შესახებ. ირლანდია ბრიტანიის წინააღმდეგ თავდასასხმელად დიდ შეთქმულებებისთვის ემზადებოდა. მთავრობის სახელით ლოიდ ჯორჯმა განაცხადა: უკიდურესი ზომებით შევებრძოლები ირლანდიის ფლოტსა და არმიის შექმნის საქმესო. (ს. გ.).

**განა აქნამდის შეწყვეტილი არ იყო?**

**ლონდონი.** „დეილი მირორი" იუწყება ლორდ კერზონმა მიმართა საბჭოთა მთავრობას, ახალი ნოტით, რომელშიაც იგი მოითხოვს რუსეთისაგან საკმაო გარანტიებს იმისას, რომ ბოლშევიკების ხელში მყოფი ბრიტანეთის ქვეშევრდომთა სიცოცხლე დაცული იქნეს. ამასთანავე ლორდ კერზონი მოითხოვს ბალშევიკებისაგან აღმოსავლეთში პროპაგანდის შეწყვეტას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი რუსეთთან ყოველგვარ დამოკიდებულების შეწყვეტით იმუქრება. (ს. გ.)

# პარტიული ცხოვრება

**„რუსსოვეტის" თავმჯდომარის ბ-ნ კალიუჟნის პროვოკაციის წინააღმდეგ პროტესტები**

**თბილისის მესამე რაიონის პირველ იაჩეიკამ,** მოისმინა რა თბილისის კომიტეტის წარმომადგენლის მოხსენება თბილისის კომიტეტის წინააღმდეგ „რუსსოვეტის" მიერ ბრალდების წამოყენების შესახებ, ვითომც თბილისის კომიტეტს უწესოთ—ჩაკეტილი კარების შემტვრევით დაეკავებინოს რუსსოვეტის შენობა, თავის სხდომაზე 28 ოქტომბერს პროტესტი გამოიტანა „რუსსოვეტის" ასეთ პროვოკაციული ყოფაქცევის წინააღმდეგ, ვინაიდან ჩვენ შენობა დავიკავეთ „რუსსოვეტის" თავმჯდომარის თანხმობით ბ

იჯარით, რაზედაც არის შესაფერი დოკუმენტები.

—

**მეოთხე რაიონის მე-18 იაჩეიკის წევრებმა**, წავიკითხეთ რა „ბარბის“ № 245-ში „რუსსტოვეტის“ ბრალდება კომუნისტების წინაალმდეგ, ვითომ კომუნისტებს ძალით შეემტვრიოს „რუსსოვეტის“ შენობის კარები და ისე დაეკავებიოს იგი, ძლიერ აღვშფოთდით და „რუსსოვეტის“ თავმჯდომარის ბ-ნ კალიუჟნის ასეთ პროვოკაციული და დემაგოგიური გამოსვლის წინაალმდეგ სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ.

—

**მეოთხე რაიონის რაიონული საბჭო** 28 ოქტომბერს სხდომაზე, გავეცანით-რა „ბარბის“ № 245 ში „რუსოვეტის“ თავმჯდომარის ბ-ნ ა. კალიუჟნის განცხადებას, ღრმა აღშფოთებით პროტესტს ვაცხადებთ „რუსსოვეტის“ ცრუ და განზრახ გამოგონებულ ბრალდების წინაალმდეგ.

ჩვენ მეოთხე რაიონის წევრებს კარგათ გვახსოვს, რუსსოვეტის მთელი შემადგენლობა ერთ დროს კომუნისტური პარტიის თუ როგორ პირდებოდა არა თუ რამდენიმე ოთახის დათმობას, არამედ მთელი ყოფილი სასტუმრო „ლონდონის“ შენობის დათმობას. ალბათ „რუსსოვეტი“ მაშინ ასე ლაღათ იმიტომ იქცეოდა, რომ საქართველოს კარებზე იყო წითელი არმია მომდგარი.

მაგრამ ახლა, როდესაც პოლიტიკური სიტუაცია შეცვლილია, „რუსსოვეტს“, სურს რა აღადგინოს საქართველოს მთავრობის თვალში დაკარგული ნდობა, მიედ-მოედება რაღაც ვითომ კომუნისტების მიერ ჩადენილ ძალადობას, კარების გამტვრევას და სხ.. მხოლოთ იმართლებს თავს, რომ არავითარი წერილობითი ვალდებულება ხსენებულ ბინის გადაცემაზე არ ყოფილა.

ყველა ზემო აღნიშნულის გამო მეოთხე რაიონის საბჭო ყველას გასაგონათ აცხადებს, რომ შენობა დავიკავეთ „რუსსოვეტის“ სიტყვიერი თანხმობის შემდეგ და არას შემთხვევაში შენობას არ დავტოვებთ, სანამ ახალ შენობას არ ვიშოვით. დიდი ხანია ვიჩქარით მოვცილდეთ თქვენს მეზობლობას!..

—

**მეორე რაიონის მეორე იაჩეიკამ** 28 ოქტომბრის სხდომაზე რუსსოვეტის თავმჯდომარის კალიუჟინის წინაღმდეგ პროტესტი გამოიტანა. მეორე იაჩეიკა აცხადებს, რომ მისი წევრები დაესწრო როდესაც თბილ. კომიტეტის და „რუსსოვეტის“ წარმომადგენლებს შორის შენობის შესახებ სწარმოებდა მოლაპარაკება და რუსსოვეტმა შენობა დაგვითმო. ამჟამათ კალიუჟინის განცხადება უტიფარ სიცრუეს წარმოადგენს. იგი რევერანსია საქართველოს მთავრობის წინ.

—

**მეორე იაჩეიკა** ზედმეტათ სთვლის „რუსსოვეტის“—არსებობას საქართველოში. იგი ოდნავათაც ვერ იცავს საქართველოში რუსეთის მშრომელთა მასსების ინტერესებს,—რომლებისთვის შესაფერისათ მზრუნველობს ოფიციალური საბჭოთა მისია. პროტესტი შემდეგი მოწოდებით თავდება: „ძირს ნაციონალური საბჭოები, გაუმარჯოს მშრომელი კლასის საბჭოებს!“.

—

**თანამგრძნობთა კრება მე-4 რაიონში.** კრებამ მოისმინა რა ამხ. ვ. მოხსენება, სურვილი გამოსთქვა აწარმოვოს ნაყოფიერი მუშაობა დ იბრძოლოს მუშათა კლასის დამჩაგვრელთა წინაალმდეგ როგორც კავშირებში, ისე კერძოთ მეპატრონეებთან. შემდეგ კრებამ გამოიტანა მკაცრი პროტესტი სომხეთში დაშნაკელთა მხეცობის წინაალმდეგ.

ზე ფასების შედარებით შეადგენს წვეთს ზღვაში. არც არაფერი გასასყიდი გააჩნიათ, ხოლო რაც ებადათ, დიდი ხანია მჭადის ფქვილზე გაჰყიდეს, ფოსტა-ტელეგრაფ-ტელეფონის ამხანაგები უკიდურეს მდგომარეობას განიცდიან. გამოსავალი გზა არსაიდან არ სჩანს...

დანარჩენ საპირბოროტო ნივთების შესახებ ხომ ლაპარაკიც მეტია.

და აი, ასეთ ათასგვარ უსამართლობის დროს ჩვენ მიერ არჩეულები წამოსკუპულან ცენტრში და მის ირგვლივ თბილ ალაგებზე; მხოლოთ შიმშილიდან არაქათ გამოცლილ მუშა-მოსამსახურეებს თითით ემუქრებიან, რომ არ გაბედონ რაიმე მოთხოვნილებების წამოყენება.

განა იმაში მდგომარეობს დემოკრატიზმი რომ ფოსტა ტელეფონ ტელეგრაფის პროლეტარიატი სიმშილით ამოხოცოთ? **მიშა.**

—

# საზღვარ-გარეთ

**პროფესიონალური მოძრაობა ისპანიაში.**

რევოლიუციური ტალღა სულ უფრო და უფრო ითრევს დასავლეთ ევროპის მხარეებს. ისპანიაც, რომელიც გმინავს მიწათ-მფლობელების და ბურჟუაზიის მთავრობის უღელ ქვეშ, ემზადება იმ დიად საათისათვის, როდესაც მსოფლიო აფეთქება ბოლოს და ბოლოს, დაამსხვრევს კაპიტალისტურ წარმოების საძირკვლებს, და პროფესიონალური მოძრაობა პირინეის ნახევარ კუნძულისა წარმოადგენს ნათელ ილიუსტრაციას ჩქარათ განვითარების პროცესისას—ფართე პროლეტარულ მასსების გარევოლიუციონერებისას.

ამ დრომდე—უფრო სწორედ, ჯერ კიდევ ხუთი თვის უკან—თითქმის ყველა კავშირები ისპანიის იყოფოდენ ორ ბანაკად—ერთი, რომელიც იმყოფებოდა სავსებით რეფორმიზმის გავლენის ქვეშ—ეგრედ წოდებული „მუშათა საყოველთაო კავშირი“ (შეკავშირება ფედერატიულ ხასიათისა), მეორე—ნაციონალური კონფერენცია შრომისა, სადაც ხელმძღვანელი როლი ეკუთნოდა სინდიკალისტებს და თითქმის ანარქო-სინდიკალისტებსაც. და რამოდენადაც პირველი ბანაკი იყო შეპყრობილი სოციალ შემთანხმებელთა ყველა სენით, იმოდენად მეორე იყო მოწამლული „მემარცხენეების საყმაწვილო სნეულებით“. პირველში იყო შეკავშირებული დაახლოვებით 250 ათასი, მეორეში—დაახლოვებით 800 ათასი მუშა.

(დასასრული იქნება)

ხანაგი, ორს—ი. ბერძენიშვილს და ზაქრაძეს გამოუცხადეს თითო წელი… დი და შ. ოთიაშვილს, როგორც გა… მოგვცემენ—სამი თვე.

ასე, ამრიგათ, შეასრულეს ბ-მა … შევიკებმა შიმშილობით პროტეს… დროს დანაპირები.

მიუხედავათ იმისა, რომ მეც ვღე… ლობდი მონაწილეობას შიმშილით გ… ფიცვაში ზემოხსენებულ ამხანაგებ… ერთად, დღემდის უყურადღებოთ ვა… დატოვებული და ჩემი საქმე ჯერაც გ… მოურკვეველია.

ახლა ამ მოკლე წერილით მინდა მ… ვაგონო ბ ნ შინ. საქ. მინისტრს, რ… მოახდინოს განკარგულება და გამომი… ხადოს შედეგი დადგენილებისა.

ჩვენ არ მოვითხოვთ არავითარ შე… ყნარებას, მოვითხოვთ დაგვდონ მკაცრ… მსჯავრი სასამართლოს წინაშე თუ ვ… ყოთ ღირსი სასჯელისა თუ არა და ვ… ქნათ განთავისუფლებული.

**პავლუშა მარდალეიშვილი.**

# განცხადებანი.

გამომცემლობა
## „წითელი ვარსკვლავი“
**გამოსულია.**

1. ვინ არიან კომუნისტები (ბოლშევიკე… ბი). ფ. 3 მ.
2. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ინტერ… ნაციონალი მომაკვდავი და ინტერ… ნაციონალი ამომავალი. ფ. 5 მ.
3. მ. კასპიელი. ვინ სტყუის? ფ. 10 მ.
4. ნ. ლენინი. ეკონომიკა და პოლიტი… პროლეტარიატის დიქტატურის ხ… ნაში. ფ. 5 მ.
5. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ომი დ… სოციალიზმის კრიზისი. ფ. 20 მ.
6. მ. კასპიელი. ინტერნაციონალი … თმის საკითხი. ფ. 15 მ.
7. პროგრამა რუს. კომ. პარტიისა.
8. ბუხარინი. პროლეტ. დიქტატურა რუ… სეთში და მსოფლიო რევოლიუცია.

**იბეჭდება:**

9. ბუხარინი და პრეობრაჟენსკი. კომუ… ნიზმის ანბანი.

**ემზადებულია დასაბეჭდათ:**

10. ზინოვიევი. პარტია და პროფესიონა… ლური კავშირები.
11. მინინი. რელიგია და კომუნიზმი.
12. პეტროვიჩი. პროლეტარებო ყველ… ქვეყნისა, შეერთდით!
13. ნ. გექტორი. რით აიხსნება რუსეთ… ში სოციალისტ. რევოლიუციის ად… ვილად გამარჯვება.
14. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნ… ცენტ. კომიტეტის მიმართვა კავში… რისადმი 1850 წ.
15. კ. მარქსი. სამოქალაქო ომი საფრან… გეთში 1870—71 წ.

—

საქართველოს კომუნისტური პარტიი… ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთავ… სებულია პასკევიჩის ქ. № 8, მეორე სარ… თული, ტელ. 8—91.

ცენტრ. კომ. ბიურო ღიაა დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

—

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნიო კომი… ტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩი… ქუჩ. № 3, მეორე სართული. ტელ. 8—91 ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე.

—

ს. კ. პ. თბ. პირველი რაიონის ბიურ… მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ., № 13… ბიურო ღიაა საღ. 5—7 ნახ. საათამდე.

—

ს. კ. პ. თბ. მეორე რაიონის ბიურ… მოთავსებულია რუსთა ვრონცულ საბჭ… ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ… ბიურო ღიაა დილის 10—12 საათამ… და საღამოს 5—7 საათამდე.

—

ს. კ. პ. თბ. მესამე რაიონის ბიურ… მოთავსებულია რუსთა ვრონცულ საბჭ… ბინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და ძველ… წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 ნახ. ს… თამდე და საღამოს 5—7 ნახ. საათ.

—

ს. კ. პ. თბილისის მეოთხე რაიონ… ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნუ… საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღ… ბირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი წე… რების ჩაწერა და ძველი წევრების რეგ… სტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 საათამ… და საღამოს 4—7 საათამდე.

# მუშათა ცხოვრება

## ჩვენში

**საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ცენტრალური გამგეობა და მოსამსახურეების მდგომარეობა.**

პირველათ ყოვლისა ჩემი უმთავრესი მიზანია დავახასიათო ჩემს წერილში, თუ როგორ პირობებში იმყოფება საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის გამგეობა. ვისი წარმომადგენელი და ვის ინტერესებს უნდა იცავდეს. მენშევიკების ბატონობის ქვეშ აქვთ მათ უფლება ეკონომიურ უფლებების გაუმჯობესებაში მიიღონ რაიმე ზომები თუ არა პოლიტიკურზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ამის შესახებ კრინტსაც ვერ დსაძრავ.

თუ წამოგცთა რაიმე პოლიტიკის შესახებ, მაშინვე თბილისის ეგრეთ წოდებული ფოსტა-ტელეგრაფის მენშევიკები ჩაგნიშნავენ შავ წიგნში და ერთ მშვენიერ დღეს გიკრავენ თავს განსაკუთრებულ რაზმის უფროსთან ბ-ნ კედიასთან.

ასეთ დაშინების გამო ამხანაგები იძულებული არიან დასტოვონ საქართველოს საზღვრები, ან და კრინტი არ დასძრან ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე.

თვით ეგრეთ წოდებული ცენტრალურ ფოსტა-ტელეგრაფის გამგეობას რომელიც არის „ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეების დამცველი“, არავითარი უფლებები არ აქვთ და არის უბრალო მატყუარა მანქანა დემოკრატიულ სახელმწიფოში.

პროფესიონალური კავშირი მოსამსახურეებისა წარმოადგენს უბრალო დაწესებულებებს. ამას მოწმობს თუ გინდ ის, თუ რა პასუხი მიიღო ცენტრალურმა გამგეობამ როდესაც სთხოვდა შინაგან საქმეთა მინისტრს ამხ. ბორჩიცკის საქართველოში დატოვებას. რამდენი მაგალითებია კიდევ იმისი თუ როგორ იცავდა ის ფოსტა-ტელეგრაფის-ტელეფონის მოსამსახურეების ინტერესებს მდიდრების და სპეკულიანტების გაყვლეფისაგან და როგორ ანხორციელებდა „სოციალ“ დემოკრატიულ პროგრამას.

იყო დრო, როდესაც მთელი საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფ-ტელეფონის მოსამსახურენი, ეგრედწოდებულ, სოციალ-დემოკრატ მენშევიკებზე ლოცულობდენ, მაგრამ დაუდგათ ბნელი დღეები გუშინდელმა მათმა ამხანაგებმა იმათ ზურგი შეაქციეს.

მართალი უნდა ითქვას, რომ უკმაყოფილება დიდია მენშევიკების წინაალმდეგ, მაგრამ ოფიციალურად გამოსვლის ეშინიათ.

როგორც ზევით ვამბობდით, თუ ვინმემ წინაალმდეგობა გაუწია ან გამოეკამათა, მაშინვე სამსახურიდან დათხოვნით ან ციხით ემუქრებიან და კომუნისტათ მონათვლენ. მუშებში კავშირების მიმართ გულცივობა გამეფდა და მას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. კავშირებს უყურებენ როგორც უბრალო დაწესებულებებს. გულცივობა გამოიხატება იმაში, რომ ორჯერ და ხუთჯერ რომ მოიწვიო კრება, მაგალითად, თბილისში, სადაც ათასზე მეტი მოსამსახურეები ითვლება, 60 ან 80 კაცი თუ დაესწრო, იგიც დიდია.

რომ ჰკითხოთ, მაგალითად რისთვის არ ესწრებიან კრებას, ისინი გიპასუხებენ: „თქმით ვერაფერს ვერ ვიტყვით, ვინაიდან მოგვიგვა ისე, როგორც ზოგიერთ ჩვენს ამხანაგებსო“. როდის იყო, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი ნახევრად მშიერ-ტიტველნი, ათასნაირ გაჭირვებას არ ვითმენდით? მაგრამ მოთმინებასაც საზღვარი აქვს. პროვინციებიდან დეპეშები-დეპეშებზე მოდის თბილისის ტელეგრაფ-ტელეფონის ცენტრალურ ვჩენ გამგეობის სახელზე, რითაც გვაცნობებენ, როგორც მაგალითად, ყვირილა დ ქუთაისი. აგერ ორი კვირა არის, მუშათა მაგიდა პურს არ გვაწვდის და ლამის არის ცოლშვილი სიმშილით ამოგვეხოცოსო და თხოულობენ მიღებულ იქმნას ყოველივე ზომები გამგეობის მიერ, სადაც ჯერ არს, რათა მიეცეს მოსამსახურეებს ორი კვირის პურის მიუღებლობის განაღდება, რაც შეადგენს დაახლოვებით ნახევარ მილიონს, მაგრამ მათ კანონიერ მოთხოვნილებას ყურადღებას არავინ აქცევს და ცენტრალური გამგეობა დამამშვიდებელ მოლაპარაკებას მართავს მათთან. ბაზარზე კი პური გირვანქა 80—100 მანეთამდე ადის (თეთრ პურს მხედველობაში არ ვღებულობ, ვინაიდან ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია). ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეების ჯამაგირი კი 4000—6500 მანეთს არ აღემატება, რომელიც ახლანდელ ბაზარ-

# პროვინციის ცხოვრება

## წერილი თელავიდან

21 ოქტომბერს თელავის სამაზრო დაშნაკცუტუნის კომიტეტმა მოიწვია კრება, სადაც იყვნენ ყველა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელნი: რასაკვირველია დაშნაკებს ქონდათ მსჯელობა ქემალის შემოტევაზე: ისინი ზიზღით იხსენიებდნენ თათრებს, როგორც ისტორიულ მტრებს და მოუწოდებდნენ, რომ ყველანი შეერთებულიყვნენ ქემალის გასანადგურებლად. რასაკვირველია დაშნაკელების საზიზღარ დემაგოგიას და გახრწნილ შოვინისტურ სიბეცის გზას არც სხვა პოლიტიკური პარტიების დელეგატები ასცდენ, ყველა თითქოს იცავდა სომხეთის დღევანდელ უბედურებას, ვითომც ყველას გული სტკიოდა.

როდესაც თელავის სამაზრო კომუნისტურ კომიტეტმა გაიგო ასეთი კრება დაშნაკელების მიერ მოწვეული, სადაც ყველა პარტიების წარმომადგენელნი იქნებოდნენ, კომიტეტმა გადასწყვიტა გაეგზავნა თავისი წარმომადგენელიც. როდესაც ჩვენი ამხანაგები მივიდენ და განაცხადეს: რატო ჩვენ არ შეგვატყობინეთ დასწრებაო, დაშნაკელების ლიდერმა ასე სთქვა: ჩვენ არც კი ვიცით თუ თელავში კომუნისტური პარტია არსებობსო და ან მისი ორგანო კომიტეტიო. დაშნაკელების ლიდერმა, სხვათა შორის, გვიპასუხა: კრებაზე იქნება მოხსენება კომუნისტებზე, რაც მის წინაალმდეგ გალაშქრებას გამოიწვევსო და, რომ კრების წესიერი მსვლელობა არ დაირღვეს, ამისათვის ჩვენ გადავწყვიტეთ თქვენ არ დაგიშვათო.

ჩვენთვის აშკარაა გახრწნილი პოლიტიკა დაშნაკელებისა. თუ მართლაც პოლიტიკური ნასახი აქვს დაშნაკელების პარტიას, რათ ეშინია სიმართლის, რატომ არ დაგვიშვეს, რომ გაგვეცა პასუხი იმ საზიზღარ დემაგოგიაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს წინაალმდეგ.

რასაკვირველია ჩვენ არ დაგვიშვეს და არ გვათქმევინეს საპასუხოთ ჩვენი სიტყვა, თუ როგორ ატყუებდენ არა თუ დღეს—ისტორიულათაც, დაშნაკელები სომხის მშრომელ ხალხს. ეს ნათელია ყველა ცოტათ თუ ბევრათ შეგნებულ სომხის მშრომელ გლეხისა და მუშებისთვის, ეს დაამტკიცა სომხის მშრომელმა მასამ ამ წელს მაისში; ერთ კვირის განმავლობაში მუშებმა დაიპყრეს ალექსანდროპოლი და მთელი ყარსის ოლქი. ეს იყო ომი მშრომელ სომხის მუშების და გლეხების დაშნაკელების წინაალმდეგ. ისიც ყველასათვის ნათელია, რომ დაშნაკელები აღარ ერიდებიან არაფერს: სომხის მუშებს და გლეხებს ასობით საუკეთესო თავდადებული სომხის ცნობილი კომუნისტებს ქუჩებში ხვრეტდენ და ასობით დღესაც ყავთ ავსებული სომხეთის ციხეები მშრომელი გლეხებით და მუშებით.

დღეს ეს გახრწნილი პარტია გამოსულა თელავის მშრომელ სომხების მცხოვრებლების წინაშე და აჯერებს, რომ მას გული სტკივა სომხის ერზე, რომ მას უნდა გააბედნიეროს და სანეტარო ცხოვრება დაამყარონ სომხეთში. განა არ ვიცით, თუ ამ სამ წელიწადის განმავლობაში, როგორ გამოფიტეს ის სიმდიდრე, რაც იყო რუსეთის არმიის მიერ დარჩომილი და იქაურ მშრომელ გლეხობის ნაოფლარი. განა არ ვიცით, თუ ვინ იკვებებოდა ამერიკულ თეთრი პურით და ვინ ივსებდა მილიონებით ჯიბებს; რასაკვირველია არა სომხეთის მუშები და გლეხები, იქ უკვე დიდი ხანია რაც სამარეა გათხრილი მშრომელ ხალხისთვის. სომხეთის მშრომელი ხალხის ერთად ერთი ხსნა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის საბჭოთა ძმურ კავშირს შეუძლია, მათი სურვილია ძმური კავშირი სომხის ძმებთან, რის შემწეობით თავს დააღწევს სომხის მშრომელი მასა დაშნაკელების კაცი ჭამია პოლიტიკის მეფობას. მაშ ის აღარ ექნება იმ გულ-შემზარავ სურათებს ადგილი, რასაც დღეს, რარაყამიშის რაიონებში აქვს. დაშნაკელების რაზმები ანადგურებენ თათრების სოფლებს და ყელებს ჭრიან უსუსურ თათრის ბავშვებსაც კი. მართალია დიდი ხანია დაშნაკელები და ოსმალოს ხანები ერთიმეორეს მშრომელ ხალხში ზიზღს აღვიძებენ თავიანთ მეფობის გულისათვის.

ახლა უკვე მოახლოვდა დრო, როდესაც ბოლო მოეღება უკვე ერთმანეთ შორის შოვინისტურ ვაკხანელიას და დამყარდება სომხის და ოსმალეთის მშრომელ ხალხის შორის ძმური კავშირი და მშვიდობიანი ცხოვრებაც. ეს მოხდება სომხების დაშნაკელების და ოსმალოს ბეგების დასამარების შემდეგ.

**ანიშვილი.**

# წერილი თფილისის № 2 საგ. ციხიდან.

შესრულდა ოთხი თვე რაც მეტეხის ციხეში ვიმყოფები.

ამ ოთხი თვის განმავლობაში დააპატიმრეს და გადაასახლეს № 2 საპყრობილედან 20 ამხ., გაანთავისუფლეს 17.

სასამართლოზე გადასცენ ორი ამხანაგი.

1) … თუმანოვი რუსული კომუნისტის ყოფილი რედაქტორი, რომელიც იქნა განთავისუფლებული თავდების ქვეშ.

2) ა. პავლოვი უკვე გაასამართლეს და მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, რომელსაც შეუცვალეს 6 წლის კატორღაზე და გაგზავნეს ქუთაისის საგუბერნიო ციხეში.

ადმინისტრატიულად დასტოვეს 3 ამ-